№ 163 ივლისი 31, სამშაბათი 1890 ივლისი 29, სამშაბათი № 165

**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„Иверія“ (ежедневно). КУТАИСЪ 2-й гильд. куп. Беро гр. Пурцхванидзе.

# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარ. ნცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

გაზეთი „ივერია“ პირველის აგვისტოდგან წლის დამლევამდე ღირს 5 მან. და 50 კაპ.

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

## ახალი ამბავი

*** ამ საზამთროდ დიდად განცხოველებული სეზონი მოგველის სხვადა-სხვა რუსულ წარმოდგენებისა. არტისტიულს საზოგადოებას ორი ოპერის დასი ეყოლება, ფრანგულისა და რუსულისა. ამასთან უკვე გადაწყვეტილია ისიც, რომ უფრო ფრანგულს დასს მიექცეს განსაკუთრებული ყურადღებაო. თავის მხრივ არც ფორკატია გულ-ხელ დაკრეფილი და რჯულამდე უპირებს ჩაყოლასა და ჯიბრს საარტისტო საზოგადოებას. ჩვენ უკვე გამოცხადებული გვქონდა, რომ სეზონის დასაწყისს, როგორც ფორკატის შეუკრავს პირობა, ტფილისში ანტრეპრენიორმა შერევენნიკოვმა იტალიური საოპერო დასი უნდა ჩამოიყვანოს ტფილისშიო. ეს დასი თთვესა, თუ თთვე ნახევარს იქმნება ტფილისში და შემდეგ ბაქოში გაემგზავრება. ამის სამაგიეროდ ახლა საოპერეტო წარმოდგენების მართვას დაიწყებს ფორკატი. ამ დასისათვის უკვე მოუწვევია ლირიკული სოპრანო ქ-ნი მელოდისტოვისა, ქ-ნი ბელსკაია, რომელიც ეხლახან იყო ტფილისში, ტენორი ბოიაროვი და ტფილისისავე საყვარელი კომიკი სტეპანოვი. ამასთან მალოროსიული წარმოდგენებიც გაიმართება და აგრეთვე დრამებიცა, რომელთანაც კორდებალეტიც იქმნება.

*** ამ რამდენსამე დღეს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ბაქოდგან სრულიად აღარ მოდიოდა ნავთი და რკინის გზით ნავთს ძალიან ცოტასა ჰგზავნიდნენ ბაქოდგან ბათუმში. ეს ამბავი იმან გამოიწვია, რომ ნავთის გადატანის ფასმა ძალიან აიწია, ე. ი. თითო ნავთით სავსე ვაგონ-ცისტერნში ბაქოდგან ბათუმამდე შვიდ თუმან ნახევარს იღებდნენ და ცარიელ ვაგონის ბათუმიდგან ბაქოში დაბრუნებისათვის-კი ექვს მანეთს. ამ უკანასკნელს დროს ნავთის ბაქოდგან ბათუმამდე გადატანა ისე დაძვირდა, რომ თითო ვაგონი მენავთეებს ათ თუმანზე მეტი უჯდებოდათ და მოგება აღარა რჩებოდათ-რა და ამიტომ ნავთის გზავნა მდინარე ვოლგითვე დაიწყეს. მხოლოდ ეხლა ნავთის ბაქოდგან ბათუმში გადატანის ფასმა ისევ დაიწია და დიდ-ძალი ნავთიც მიდის ამიერ-კავკასიის რკინის გზით ბათუმში და იქიდგან საზღვარ გარეთა და რუსეთში.

*** ამას-წინად კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიამ შეიმუშავა ახალი კანონ-მდებლობა სასოფლო მმართველობისა კავკასიის იმ გუბერნიებისათვის, სადაც მცხოვრებლები მაჰმადიანები არიან. ეს კანონ-მდებლობა, რუსეთის გაზეთების სიტყვით, სახელმწიფო საბჭოს უკვე დაუმტკიცებია და მალე დაიწყებს მოქმედებას.

*** ამ თთვის 28, შაბათს, პეტერბურგიდგან ჩამოვიდა ტფილისში სახელმწიფო ქონებათა მინისტრის საბჭოს წევრი ტაინი სოვეტნიკი თეოდორე კარლოსის ძე არნოლდი.

*** შაბათს, ამ თთვის 28, პეტერბურგიდგან ჩამოვიდა ტფილისის სამთო ინჟინერი ივანე იოსების ძე ვილლერი, რომელიც აქედგან კავკასიის მთებში წავა, კავკასიის უღელტეხილის იმ ადგილების დასათვალიერებლად, სადაც აპირობენ რკინის გზის გაყვანას. ამბობენ, რომ, როდესაც სურამის გვირაბს აკურთხებენ (აგვისტოს 30), ბ-ნი გზათა მინისტრი, რომელიც იმ დროს კავკასიაში აპირობს მოსვლას, თითონვე წაბრძანდება და დაათვალიერებს ზოგიერთა ალაგებს, სადაც აპირობენ რკინის გზის გაყვანას კავკასიის მთებზეო.

*** გუშინ-წინ, კვირას, იტალიის ბაღში ჭიდაობა ჰქონდა გამართული კულა გლდანელს ბაქოდგან ახლად ჩამოსულ ნახიჩევანელ ლეონ ვალიანცევთან, რომელსაც ალთი-ბილული გაულახნია. ამ ჭიდაობის მაუწყები გლდანელი განცხადებაში სწერს, რომ, რადგან ნესტორ ესებუა აცხადებს გაზეთებში, ჭიდაობას ვაპირებო, და იწვევს მსურველთ, მეც ჩემის მხრით ვიწვევ ესებუას შემდეგის პირობით: თუ დამძლია და გამლახა, სამოცი თუმანი მიიღოს და, თუ გაილახა, ათი თუმანი ღარიბების სასარგებლოდ გაიღოს თავის ჯიბიდგანაო, ხოლო თუ არ დამეჭიდა და უკან გადგა, დღეის შემდეგ ნუღარ გამოაცხადებს ნურც გაზეთებში და ნურც კერძოდ თავის ჭიდაობის ამბავსაო. რამდენადაც ვიცით, ესებუა სიამოვნებით დათანხმდება გლდანელთან ჭიდაობას და საზოგადოება კვლავ ჰნახავს ამ ორის მოჭიდავეს ბრძოლას.

*** ტფილისში ყალბი ფულები კიდევ გამოჩნდა. გუშინ, ამ თთვის 30 სასამართლოს მესამე განყოფილების გამომძიებელთან პოლიციამ მოიყვანა სპარსეთის ქვეშევრდომი ჰაჯი-ალა-ალი-ოღლი, რომელსაც ხუთ მანათიანის დახურდავების დროს ვიღაცა კარაპეტ კუნიევისთვის ყალბი სამმანათიანი შაუპარებია. ჰაჯი-ალა-ალი-ოღლიმ სასამართლოს გამომძიებელს გამოუცხადა, არ მახსოვს, სად მომცეს ეგ ყალბი სამ მანათიანი, და არც იმის გამკეთებლებს ვიცნობო. ამ საქმის გამოსარკვევად სასტიკი გამოძიებაა დანიშნული.

*** ნავთლუღში 29 ივლისს ღამით ორი-ცხენი მოჰპარეს გუმბრელ ვაჭრებს, რომლებსაც საქონელი ჰყავთ ტფისში ჩამორეკილი გასასყიდად. დაკარგული და ქურდები ჯერ ვერ უპოვნიათ.

*** ოთხშაბათს, 25 ივლისს, მოსკოვის ერთს მონასტერში გარდაიცვალა მისი უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი იოსები, რომელიც კავკავის ეპარქიას განაგებდა. ეს უკანასკნელი ერთი წელიწადია მოხუცებულობისაგამო მონასტერში დაეყუდა და ეხლა იქ გარდაიცვალა. 26 და 27 ივლისს ტფილისის სამღვდელოებამ სიონის ტაძარში განსვენებულ ეპისკოპოსს პანაშვიდი გადაუხადა.

*** ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ ტერ-ანდრიასოვი ბორჩალოში შეიპყრესო. მართალია, ბორჩალოში ორი ავაზაკი დაუჭერიათ, მაგრამ ისინი სოფ. ბაშკიჩეთში პოლიციას უკვე ხელიდგან გასხლტომიან და ამასთან დაჭეშმარიტებით არც ის იციან, მართლა ტერ-ანდრიასოვი იყო დაჭერილი, თუ სხვა ვინმეო.

*** განჯა: ამ ერთის კვირის წინად განჯაში, რკინის გზის სადგურზე, რკინის გზისვე შენობაში ერთს სახლს, რომელიც სხვა შენობებიდგან განცალკევებული იდგა, უეცრად ცეცხლი გაუჩნდა. სახლს ქვეშ სარდაფში ბოჩკებით მდგარიყო ნავთი, რომელსაც რაღაც მიზეზით ქვეშ ცეცხლი მოედო თურმე, იფეთქა უეცრად და მთელ შენობას წაეკიდა, ალი ვერსაიდგან გადიოდა, რადგანაც კედლები ქვიტკირისა იყო. მაშინვე მოაშველეს წყლით საქრობი მანქანები. თუმცა ეს მანქანები გაფუჭებული აღმოჩნდა, მაგრამ მაინც ხალხმა დიდის წვალების შემდეგ როგორც იყო ჩააქრო ცეცხლი,

*** ქობულეთი: ჩვენსკენ ამ ბოლოს დროს ავ-კაცობა და ქურდობა სწორედ ჩვეულებრივი ამბავი გახდა. ბ-ნ არობელაძეს წასვლის შემდეგ ამ სენმა უფრო და უფრო იმატა და შინაური პირუტყვები ხომ სულ ერთიანად გაგვიჩანაგდა. ჩვენსკენ ერთი სასიამოვნო ამბავი მხოლოდ ის-ღა არის, რომ ამას წინად პროვიზორმა ბ-ნმა ი. კასინსკიმ ჩვენს დაბა ჩურუქსუში აფთიაქი გამართა, თუმცა იმის სურ-

## ფელეტონი

### ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის წარსული, აწმყო და მომავალი.

ექვსის წლის განუწყვეტელი სამსახური ქუთაისის სააზნაურო ბანკში ვალად მდებს განვუზიარო მკითხველს ჩემი აზრი და შეხედულება იმ დაწესებულებაზედ, რომელსაც მომდურავი და მტერი ურიცხვი ჰყავს, მომხრე და თანამგრძნობი-კი ძლიერ ცოტა.

ამ ათის წლის განმავლობაში ჩვენმა ბანკმა ბევრი რამ განსაცდელი და უსიამოვნება გამოიარა, მაგრამ ყველაზედ უარესი ის იყო, რომ მინისტრის განკარგულებით ბანკს რამდენისამე წლის განმავლობაში სესხის გაცემა აკრძალული ჰქონდა. მეც ამ მდგომარეობაში დამხვდა ბანკი. სანამდის მე ამომირჩევდნენ გამგეობის თავმჯდომარედ, ზედამხედველ კომიტეტსა და გამგეობას ცდა და თხოვნა არ დაუკლიათ, მაგრამ მინისტრს ბანკის გახსნის ნება მაინც არ მიუცია; ამისათვის უმთავრესი მოვალეობა ახალის გამგეობისა ის უნდა ყოფილიყო, რომ ბანკი ამ უბედურებისაგან გამოეყვანა, რომ ის ისევ მალე თავის ოპერაციას შესდგომოდა. ჩემის აზრით, მხოლოდ ერთი საშუალება-ღა იყო, პეტერბურგში წასვლა და პირადი თხოვნა. ამისათვის არა ერთხელ მივმართე ზედამხედველ კომიტეტს და გამგეობას, რომ ჩემთვის ხელი გაეწყოთ და პეტერბურგში წასვლის საშუალება მიეცათ. დარწმუნებული ვიყავი, რომ მინისტრი პირადს თხოვნას შეიწყნარებდა და ბანკს ისევ გაგვიხსნიდა. ამასთანავე არც ის იყო საეჭვო, რომ ახალს გამგეობას მინისტრის თვალში სხვა მნიშვნელობა ექნებოდა და ადვილადაც დარწმუნდებოდა, რომ მე, როგორც ახალი კაცი, სხვა გზას დავადგებოდი და არც იმ შეცდომებს ჩავიდენდი, რომელმაც გამოიწვია მის მიერ მკაცრი განკარგულება. მაგრამ ჩემმა თხოვნამ არ გასჭრა და წინადადება ჩემი დარჩა უყურადღებოდ. ამ ნაირად ბანკს ჩვენ დროზედ ვერ უსაშუალეთ და მისი ბედი და უბედურება აღლალ ბედს მივანდევით. მე რომ არ ვსცდებოდი და ჩემი მოსაზრება საფუძვლიანი იყო, ეს ცხადად დამტკიცდა 1886 წელს, როცა შემთხვევით ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ბუნგე ბათუმში ჩამობძანდა და, როცა შევსთხოვეთ ბანკისათვის სესხების გაცემის ნება, შემდეგ რაოდენისამე შენიშვნისა, რომელიც წინანდელს გამგეობას შეეხებოდა, მინისტრმა აღგვითქვა, ნება მოგივათო და იმავე წლის დამლევს კიდევაც მოგვივიდა. აქედგან ცხადად სჩანს, რომ თუ საქმე დაგვიანდა, ისევ ჩვენი ბრალი იყო და შინაურის უთანხმოების გამო ჩვენ დროზედ ვერ შეუდექით ჩვენის მოვალეობის აღსრულებას.

ბანკის ოპერაციების შეჩერებასა და იმის დროებით უმოქმედობას კიდევ სხვა უბედურება წამოეწია—ეს იყო საყოველთაო კრიზისი და უფულობა. კარგად მოგეხსენებათ, რომ 1878 წლის ომიანობის შემდეგ ფული ძლიერ გამრავლდა; ამ ფულის სიმრავლემ უძრავ ქონების და უმეტეს სახლების სიძვირე გამოიწვია. ამის გამო ფულიანი და უფულო, ყველა სახლის შენებას შეუდგა. ვისაც ფული არ ჰქონდა, ის მირბოდა ბანკში და თავის ყოფა-ცხოვრებას იქ აგირავებდა. ბანკიც, უნდა გამოვტყდეთ, ძლიერ უადვილებდა მათ სესხის აღებას, და ამ სიადვილემ ბევრი უბედურება მოუვლინა ბანკის მდგომარეობას. სახლის პატრონებს და მათ ამშენებლებს ერთი გარემოება არ მიუღიათ მხედველობაში: სახლს მაშინ აქვს ფასი, როცა მდგმური ჰყავს და და შემოსავალი უკლისად შემოაქვს; როცა-კი სახლები იმდენია, რომ მოთხოვნილებას აღემატება და სახლის პატრონები ფარნის სინათლით ეძებენ მდგმურებს, მაშინ სახლის ფასიც დაცემულია. ააშენეს ურიცხვი სახლი და მდგმური-კი არსად იყო. საუბედუროდ ამ დროსვე გააუქმეს კავკასიაში ნამესტნიკობა. ამ უბედურებაში ჩავარდნილს სახლის პატრონს რა უნდა ექნა? სახლის შემოსავალი არა თუ მას ვერ აკმაყოფილებდა, ბანკში შესატანი სარგებელიც არ შემოჰქონდა; ამისათვის იძულებულნი იყვნენ, ამ ნაირის ქონებისაგან ხელი აეღოთ და ბანკებისათვის შეერჩინათ. ამას დაემატა პრიკაზის საქმე და ამან სულ გააქარწყლა განსაკუთრებით ტფილისის უძრავი ქონება. აი ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ ჩვენი საადგილ-მამულო ბანკები ძალა უნებურად გახდა ურიცხვის სახლების პატრონად. საზოგადო კრიზისი და გამოუცდელობა ერთბაშად წამოაწყდა ჩვენს ბანკს და თავის ნიშანი დააჩინა კიდეც. რაც ქუთაისის ბანკმა იზარალა, იზარალა სწორედ იმ მამულებისაგან, რომელიც ამ დროებაში, ე. ი., 1879—1882 წლამდე, იყო დაგირავებული, და ამ სამის წლის ზარალმა ისე დასწია ბანკის მოქმედება, რომ აქამომდე ვერ ჩამდგარა თავის წრეში.

როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ნამესტნიკობის მოსპობაც ერთი იმ მოვლენათაგანი იყო, რომელმაც დიდი ზარალი მოუტანა მთელს კავკასიას. სხვათა-შორის ამ ცვლილებამ მოსამსახურეებისა და ჯარების შემცირება გამოიწვია, რომლის გამო ხარჯებიც შემოკლდა, მაშასადამე შემცირდა ფულის მოძრაობაც. ამ დროსვე ბაქოსა და ბათუმში გაიყვანეს რკინის-გზა, რომელმაც აღებ-მიცემობა ამ ქალაქებისაკენ მიიზიდა; სხვა-და-სხვა მრეწველობა და ვაჭრობაც იქ გადავიდა. საკვირველიც არ არის, რომ ვისაც რამე შერჩა, მი-

ვილს ერთი გაელენიანი კაცი არ სწყალობდა.

*** ფოთი: აქაურმა ნოქრებმა, როგორც „ივერიაში“ იყო ამას წინად გამოცხადებული, თხოვნა მიართვეს ქალაქის თვით-მართველობას, რომ კვირა უქმე დღეებში, საღამოს ხუთ საათამდე მაინც, დაიკეტოს დუქნები და ამით ცოტათი შეღავათი მოგვეცესო, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს სამართლიანი თხოვნა ნოქრებისა არ შეწყნარებულა. როგორც გავიგეთ, მაღაზიის პატრონები დამუქრებიან ნოქრებს, რომ თუ ეს ნატვრა აგისრულდათ, ყველას დაგითხოვთ სამსახურიდგან და იარეთ უქმად, რაკი უქმობასა ხართ მოწადინებულიო. აქაურს დუქანდარებს ჯერ ვერ გაუგიათ, რომ თუ მუშტარი უქმე დღეებში ვერ იყიდის საჭირო სასყიდელს, მეორედ მივა და ამ მხრით არავითარი ზარალი არ მიეცემათ. კარგი იქნება, რომ ქალაქის თვით-მართველობამ მაინც გამოიჩინოს ამ საქმეში ფხა და ხუთს საათამდე-კი არა მთელს დღეს დააკეტინოს დუქნები დილიდგან საღამომდე.

*** ტფილისში ჩამოვიდა საერო განათლების მინისტრისაგან გამოგზავნილი პროფესორი სელივანოვი, რომელსაც მინდობილი აქვს მეცნიერულად გამოიკვლიოს კავკასია და შეიტყოს, თუ როგორ მიდის სწავლა-განათლების საქმე ამ მხარეშიო. („კავკაზი“).

*** ივლისის 28, ღამის 12 საათზე, პოლიციის მეცხრე განყოფილების მოხელემ ლუკაშევიჩმა ბალის ქუჩაზე ოჭანეზოვის სახლის შესავალ კარებთან იპოვნა სამის დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი საბების ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს, პოლიციის პირველს ნაწილში, ქალაქის მკურნალმა მაღალაშვილმა პოლმცეილისა და ბაზრის ზედამხედველის იოსსავას თანადასწრებით დაათვალიერა საჭმლისა და ხილის დუქნები, იპოვნა 12 პოვოსკა უვარგისი ნესვი და საზამთრო და სამ ფუთამდე სხვა-და-სხვა ხილეულობა და გადააყრევინა.

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენის გაზეთის ივერიის № 136-ში არის დაბეჭდილი სხვათა შორის სიღნაღის მაზრის სოფ. ქვემო-მაჩხანელ კორრესპონდენტის წერილიც შესახებ ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზის ბესარიონის საუბრისა ადგილობრივ მცხოვრებლებთან, რომლის მეორე ნახევარიც სრულიად დაშორებულია სიმართლეს, მრთლად გადასხვაფერებულია და უფრო ცილის წამებაა, ვიდრე ჭეშმარიტების აღიარება.—ივერიის რედაქციას უკვე ეცნობა ცხადად: კარდანეხიდამ, ქიზიყიდამ, სიღნაღიდამ, აკურიდამ და სხვა ადგილებიდგანაც, თუ სახელდობრ რაზედ ესაუბრებოდა ყოვლად სამღვდელო ბესარიონი ქიზიყის ეკკლესიების დათვალიერების დროს მათს სამრევლოთ მცხოვრებთა—განმეორება მისი ვგონებ რომ საჭირო აღარ უნდა იყოს და მოხსენებული ქვემო-მაჩხანელი კორრესპონდენტი-კი სრულიად წინააღმდეგ ამისა, ჰსწერს: „ყოვლად სამღვდელო ბესარიონმან დაავალა მამასახლისებს, შემოიტანეთ ჩემს სახელობაზედ არზა, რომ ხალხს ჰსურს საერო სკოლები სამრევლო სკოლებად გადაკეთდესო;—საერო სკოლების გადაკეთება სამრევლო სკოლებად იმისთვისაა კარგი, რომ საერო სკოლები საჭირო ცოდნას ვერ აძლევს გლეხის შვილებსაო;—რომ თქვენ საწყლები ხართ, არ შეგიძლიანთ, მასწავლებელს ჯამაგირი აძლიოთ, და სამრევლო სკოლებში-კი უფასოდ იქმნება სწავლებაო. ამას არ კმარობს ბ-ნი ქვემო-მაჩხანელი და ზედ დასძენს.“ მიგვიქცევია ამ გარემოებისათვის ყურადღება იმისი, ვინც საერო სწავლა-განათლებისა და რელიგიურის გრძნობის საქმეს გულ-მტკივნეულად ეკიდება ჩვენში, და იმან განსაჯოს, რამდენად სასარგებლო და ნაყოფიერი იქმნება ან ერთისა და ან მეორისათვის ყოვლად-სამღვდელო ბესარიონის ზემოხსენებულნი განკარგულებანიო.

სხვა საბუთი რომ არა ითქვას-რა და მხოლოდ ზემოხსენებულ ივერიის მცირე შენიშვნებს მიექციოს ჯეროვანი ყურადღება, ცხადი შეიქმნება ყველასათვის, თუ რამდენად დაშორებულია სიმართლესა და ჭეშმარიტებას ეს ბ-ნი ქვემო-მაჩხანელის წერილის მეორე ნახევარი, და აი სწორედ ამისთვის დატოვებულ იქმნა იგი კიდეცა აქამომდე ესრედ უყურადღებოდ. მაგრამ სამწუხაროდ, ამ წერილის ავტორმა, სოფლის მასწავლებელმა, უკვე მოახერხა და მიიბირა ეხლა, როგორც ვიცით ნამდვილის წყაროებიდამ, ორი სხვა თანამოაზრეც თავის თანამოსამსახურეთაგან და ამ საგანზედ გაიგზავნ მათგანა ჯეროვანი თხოვნები ტფილისის ოლქის სკოლების დირექციაში. ცხადია აქედგან ყველასათვის, თუ რას ჰნიშვნენ მაშასადამე ბ-ნ ქვემო-მაჩხანელის წერილის ორ აზროვანი სიტყვები: „მიგვიქცევია ამ გარემოებისათვის ყურადღება მისი, ვინც საერო სწავლა-განათლებისა და რელიგიურის გრძნობის წარმატებას გულ-მტკივნეულად ეკიდება ჩვენში, და იმან განსაჯოს, რაოდენად სასარგებლო და ნაყოფიერი იქმნება ან ერთისა და ან მეორისათვის ყოვლად სამღვდელოს განკარგულებანიო“. რასაკვირველია იმასა სახელდობრ, რომ ვითომ და ყოვლად სამღვდელო ბესარიონი და თვით მისი კახეთში რევიზიაზედ გამომგზავნი ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ეგზარხოსი პალლადი, მოწინააღმდეგენი არიან საერო სკოლებისა, ადგილობრივ მცხოვრებთ სწავლით განვითარებისა და მათ რელიგიურ გრძნობათ წარმატებისა.

ნამდვილად-კი აი საქმე რაში გახლდათ: ცნობილია, რომ ქიზიყელნი ძველ დროიდგანვე თავისუფლების მოყვარე და პირადი და გულადი მოლაპარაკენი არიან: ამათ, შეწევნითა ღვთისათა, უკვე შეგნებული აქვსთ ცოტად თუ ბევრად კრიტიკულად საქმის შეხედვა და მოსაზრება,—შეგნებული აქვსთ და იციან, თუ რა მოეთხოვებათ და ანუ რანი უნდა იყვნენ მათთვისა სოფლისა მოხელენი, სოფლის მოძღვარნი, სოფლის მასწავლებელნი და ვინ მათგანი როგორ იქცევა;—რა უჯდებათ ყოველ-წლივ ამ ბატონების რჩენა და ჯამაგირი, რამდენად გულ მოდგინედ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, რამდენად ნაყოფიერია მათი სამსახური, რითია ამდენი მათი ხარჯი და ბოხჯი დაჯილდოვებული აქამომდე და სხვ... ამ შემთხვევაშიაც ქიზიყელთ ჩვეულებრივ გულ-ახდილათ მოახსენეს ყოვლად სამღვდელოს სხვათა შორის, სულ სამს ადგილს, სამღურავი თავიანთ საერო სკოლის მასწავლებლებზედ: რომ თითო სკოლის შენობა დაგვჯდომია სამას თუმანზედ მეტი და თითო მასწავლებელი გვიჯდება წელწადში, შეშა-ფიჩხს და მოსამსახურეს გარდა, ორმოც თუმანზედ ბევრიო;—რომ ამდენი ხანია ეს ხარჯი და ბოხჯი გვაწევს კისერზედ და არ იქმნა არ გვეშველა და არ გამოგვეზარდა ერთი მცოდნე, სინიდისიანი და ჩვენთვის გულ-შემატკივარი არც მამასახლისი, არც მწერალი, არც ნაცვალი, არც ხარჯის მკრეფი, არც ამბარდარი და არც სხვა ვინმეო;—დალოცვილი ჩვენი მასწავლებლები ჩასცქერიან მხოლოდ თავიანთ ჯიბე-უბეს და სიამოვნებენ სხვა-და-სხვა დროს გატარებით, და ჩვენი-კი არა ეწუხებათ-რაო“. პასუხად ამისა ყოვლად სამღვდელომ, რადგან დასახელებული სამი ადგილი შვიდას-რვაასი კომლიანი სოფლებია, ურჩია: გადაეკეთებინათ ადგილობრივი საერო ერთ-კლასიანი სკოლები ორ-კლასიანად, თუ-კი ასე არ სჯერდებიან იქაურს სწავლასა, და უფრო უკეთესი მასწავლებელი მოეთხოვათ, ანუ, გარდა იმათისა, გაეხსნად, მათდა დასახმარებლად, თითო სამრევლო-საეკკლესიო სკოლაცა, რომლისათვისაც არა ვითარიმე დიდი ხარჯი არ მოეთხოვებათ და სასულიერო მთავრობაც დაეხმარებათ ამ საქმეში.“—

დიდათ სამწუხარო და სავალალოა, რომ ჩვენში მოიპოვებიან იმისთანა ბრმად თავმოყვარენი, მხოლოდ კერძო სარგებლობის მუშაკნი სოფლის მასწავლებლები, რომელნიც მაგიერ იმისა, რომ ამ გვარად გლეხობის გამოფხიზლებისათვის ღმერთს დიდს მადლობას უძღვნიდნენ, თავიანთ თავს და თავის მრჩენელ-მესაზრდოეთ საჭიროებათა და მოთხოვნილებად ჩაუკვირდნენ რიგიანად და თავის წოდებას და მოვალეობას ემსახურნენ ერთგულად და სინიდისიერად, ცდილობენ ამ გვარის საზიზღარის ენატანიობით დასთესონ უსიამოვნება, შური და სიძულვილი ჩვენის ქვეყნის უმაღლესს სამოსწავლო და სასულიერო მართებლობათა შორის და თითონ-კი მღვრიე წყალში იჭირონ ახალი თევზი და ხელების ფშვნეტით სიამოვნებდნენ და იღიმებოდნენ... სხვა აბა რაა იმათთვის საჭირო და ვინ ეწუხებათ?!... ჭეშმარიტად დიდად სამწუხარო და სავალალოა, რომ ჩვენის ქვეყნის საერო სკოლების გულს მოდგინე და გულ-წრფელ მოღვაწე მასწავლებელთ მოეპოებიან თითო-ოროლა ამგვარი თანამოსამსახურენიცა...

ბატონო! ცილიერი თქმა და დაწყობა ხომ არაა საქმე;—აბა საბუთები-ღა?—ყოვლად სამღვდელო ბესარიონმა თუ-კი მართლად მოახდინა ამგვარი განკარგულებანი, აბა მაშ აქამომდე სადაა მათი შედეგი?!—სადაა დღემდე მის სახელობაზედ დაწერილი ამ საგნის გამო არზები, ანუ სად და ვინ დასწერა იგინი?! რა პასუხი უნდა მისცენ დირექციას ბ. ქვემო-მაჩხანელმან და მის თანამოაზრეთ, რომ მოეთხოვოთ მათ ნათქვამის დამტკიცება?! ამასთან, ყოვლად-სამღვდელო ბესარიონს ქიზიყში ხომ ფეხიც არ გადუდგავს სადმე, რომ გვერდით არ ჰყოლოდეს პოლიციის პრისტავები და ადგილობრივი ბლალოჩინები და მერე დაემოწმებიან იგინი ამ ნათქვამსა?!. ვიმეორებთ: დიდათ სამწუხარო და სავალალოა, რომ გვყვანან სკოლების მასწავლებლად,—საზოგადოების მოღვაწეებად ამ გვარი ბრმად თავ-მოყვარენი, მხოლოდ კერძო სარგებლობის მუშაკნი და სამშობლოსათვის მცირედ გულ-შემამტკივარნი.

ვიმეორებ ბ-ნო რედაქტორო, რომ მცირე ადგილს არ დაჰზოგავთ თქვენს გაზეთშია ამ ჩემის შენიშვნისათვის, რასაკვირველია, მხოლოდ ჭეშმარიტების აღსადგენად.

ქიზიყელი დეკანოზ-ბლილოჩინი სვიმონ ზეგიევი.

სიღნაღი

„26“ ივლისს 1890 წ.

## რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცალკე კომისია შეადგინა და მიანდო, გამოიკვ-

---

დიოდა იქ, სადაც საშოვარი და სამუშაო იყო. ტფილისსა და ქუთაისს ყოველივე მნიშვნელობა დაეკარგა და უბრალო რკინის-გზის სადგურებად გახდა. ეს ორი ქალაქი სრულიად დაეცა და მათ, უძრავ ქონებას კაცი ხელს არ ჰკიდებდა. აი რამდენი უბედურება წამოაეწია ჩვენს ბანკსა და რამდენის უბედურებისათვის უნდა გაეცა მას პასუხი. საკვირველია, კიდევ როგორ გაუძლო ამდენს განსაცდელს. სწორედ ამ დროს, როცა ბანკი ამ უკიდურესს მდგომარეობაში იყო და დღე-დღეზედ მოელოდნენ სრულიად იმის დამხობას, უცაბედად მე მხედა წილად მისი სამსახური.

ყველა ამ ზემო მოყვანილის მიზეზის გამო, რაც ბანკი დაარსებულა, მას აქამომდე სულ 70 უძრავი მამული დარჩენია; აქედგან 45 მამული გაყიდულა, 25 მამული ეხლაც ბანკის ხელშია. ამ მამულისაგან—ათი ყოფილა დაგირავებული ბანკის დაარსებიდგან 1879 წლამდე, 57 მამული—1879—1882 წლამდე და სამიც—1882 წლის შემდეგ. ამ 70 დარჩენილ მამულისავის ბანკს სესხად მიუცი 1,011,200 მანეთი, ამაში პირველ ათის მამულისათვის 40,900 მანეთი, მეორე ორმოც-და-ჩვიდმეტისათვის—967,500 მანეთი და უკანასკნელ სამის მამულისათვის 2,800 მანეთი. ორმოც-და ხუთმა გაყიდულმა მამულმა, რვა პირველის დროისამან და ოცდა ჩვიდმეტმა მეორისამან, ბანკს მისცა 164,185 მანეთისა და 90 კაპ. ზარალი. (პირველ დროის მამულებმა 9,313 მანეთი და 64 კაპ. და მეორე დროისამ 154,872 მანეთი და 26 კაპ.) გარდა ამისა გაუყიდველ მამულებისაგან ბანკს მოსვლია კიდევ 25,676 მანეთის და 53 კაპ, ზარალი. ასერო სხვა-და-სხვა დროს ბანკის მოგებიდგან ყოფილა გამოწერილი ზარალის დასაფარავად სულ 189,862 მანეთი და 43 კაპ. ამ ანგარიშიდგან ცხადადა სჩანს, რომ ამ უკანასკნელს ექვსის წლის განმავლობაში დაგირავებულ მამულებიდგან ბანკს ჯერ არავითარი ზარალი არ მოსვლია. გარდა ამისა ისიც ცხადად სჩანს, რომ არც წასული დროის ზარალია მაინც და მაინც ბევრი დარჩენილი და გაუწმენდელი, რადგან იმ ერთ მილიონად ღირებული მამულებიდგან, რომელიც ბანკის ხელში იყო, ცხრა ასის ათასის მანეთის გაყიდულია და დარჩა გაუყიდველი მხოლოდ თითქმის ას-ათის-ათასის მანეთის მამული. ამათი გაყიდვა რა უნდა იყოს ეხლა როცა არც ეკონომიური კრიზისია და არც მაინცა და მაინც ფულის სიძვირე. ამ ნაირად დღეს ბანკი თითქმის თავისუფალია ძველის ცოდვებისაგან და იმედია უფრო მუყაითად შეუდგება სესხის გაცემასა და ოპერაციის რაიონის გავრცელებას. ყველაზედ უფრო შესამჩნევი ზარალი ბანკს მოუვიდა ტფილისის და ახალციხის მამულებისაგან, რომლებიც განსაკუთრებით 1880-1882 წლებში იყო დაგირავებული, მაგრამ ამათში ყველაზედ უფრო საზარალო მირზოევის მამული შეიქმნა. რამდენი უსიამოვნება და ლანძღვა-გინება გადვიტანეთ ჩვენ ამ მამულების გამო! ვინ შედიოდა იმის განხილვაში, ვიყავით დანაშაულნი თუ არა? რადგან ეს მამულები ბანკს ჩვენს დროს დარჩა, ამისათვის ყველა ჩვენ გვდებდა ბრალს. მაგრამ მიუხედველად ამისა, ჩვენ მაინც არ ავსცილებივართ ჩვენს მოვალეობას და ყოველს ღონისძიებას ეხმარობდით, რომ ეს მამულები რამე ნაირად თავიდგან მოგვეშორებინა. შარშან ბევრის ვაი-ვაგლახის და უსიამოვნების შემდეგ, როგორც იყო, გავყიდეთ, მაგრამ ისე მაინც ვერა, როგორც სასურველი იყო. მარტო ამ მამულებმა 70 ათასი მანეთის ზარალი მისცა ბანკს.

1884 წელს, როცა პირველად მე ბანკში შევედი, ჩვენის ბანკის ას მანეთიანი გირაოს ფურცელი ოთხმოც-და-ორიდგან ოთხმოც-და-ოთხ მანეთამდე იყიდებოდა, ეხლა ე. ი. მაისის დამლევისათვის ამავე ღირსების გირაოს ფურცელი ოთხმოც-და-ცხრამეტ მანათად და ხუთმეტ შაურად იყიდება (99—75). გირაოს ფურცლების ფასის აწევას და მინისტრისაგან ჩვენის თხოვნის შეწყნარებას, მე, რასაკვირველია, ჩემს პირად ღირსებას არ მივაწერ. მე მხოლოდ ის მინდა ვსთქვა, რომ როგორც მე, აგრეთვე ჩემი თანამშრომელნიც, მხოლოდ ერთს აზრს მივსდევდით და ამ აზრის აღსრულებაში ვხედავდით ჩვენს მოვალეობას, ჩვენს თავის მოყვარეობას. ჩვენ გვინდოდა: სიფრთხილითა და მუდმივის შრომით აღგვედგინა ბანკის კრედიტი, აღგვედგინა დაცემული მისი სახელი და მოგვეპოვა მისთვის ის მდგომარეობა, რომელიც მისთვის საუმჯობესოდ მიგვაჩნდა. შეიძლება ეს სურვილი ჩვენ სრულად სისრულეში ვერ მოვიყვანეთ, მაგრამ ცდა და შრომა მაინც არ დაგვიკლია და, რამდენადაც გარემოება ნებას გვაძლევდა, ამ გზას არ ავცილებივართ. რომ ეს აზრი უფრო მარჯვედ და ბეჯითად სისრულეში მოგვეყვანა, ჩვენ უმთავრესი ყურადღება ბანკის შინაურს მდგომარეობას მივაქციეთ. განსაკუთრებით ჩვენ ვცდილობდით, რომ ბანკზე დარჩენილი მამულები მალე გაგვეყიდა, მამულების დაფასება რიგიანს საფუძველზედ დამყარებულიყო და ის შეცდომა, რომელიც ბანკს წინად მოსდიოდა, ჩვენ არ მოგვსვლოდა. ამის გამო ჩვენ ძლიერ სიფრთხილითა და წინ-დახედულობით შეუდექით მამულების დაფასებას და გირაოს მიღებას, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ამ ჩვენმა კეთილ განზრახვამა და წინ-დახედულობამ ურიცხვი მტერი და უსიამოვნება შეგვძინა, მაგრამ რა უნდა გვექნა, შეცდომისა გვეშინოდა და ბანკის ზარალს კიდევ პირადი უსიამოვნება ვარჩიეთ.

ლიეთ და მაცნობეთ, როგორი შენობები უნდა აშენდეს, რომ მიწის ძვრამ არ დააზარალოსო. ეს ამბავი იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ სემირეჩინსკის ოლქში ძლიერ ხშირად ხდება ხოლმე მიწის ძვრა, სახლებს აქცევს და მცხოვრებლებს დიდს ზარალს აძლევს.

— შინაურ და მგალობელ ფრინველთა გამოფენა, რომელიც წელს უნდა გამართულიყო რუსეთში, სამერმისოდ გადიდო სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო.

— ამ დღეებში გამოიცა ცირკულიარი იმ ებრაელ სტუდენტების შესახებ, რომელნიც უნივერსიტეტიდგან სწავლის დასრულებამდე ან გამოირიცხებიან და ან თავის ნებით გამოვლენ. ამ ცირკულიარში სწერია, რომ გიმნაზიებში სწავლადამთავრებულს ებრაელებს ნება აქვსთ, სწავლა განაგრძონ რუსეთის ყოველს უნივერსიტეტსა, აკადემიასა და სხვა მაღალს სასწავლებელში და სტუდენტობის დროს შეუძლიანთ თავიანთ ბინადარ ადგილს გარეშე სხვა ქალაქებშიაც იცხოვრონ, მხოლოდ სწავლის გათავების შემდეგ ეს უფლება ეკარგებათ და ისევ იმ კანონს ექვემდებარებიან, რომელიც სხვა ადგილას ცხოვრებას უკრძალავსო. ამის გამო ის სტუდენტები, რომელიც ან გამოირიცხებიან, ან თავისის ნებით გამოვლენ უმაღლესის სასწავლებლიდგან სწავლის დამთავრებამდე, თავიანთ საცხოვრებელს ადგილას უნდა გაიგზავნონ. ეს განკარგულება არ შეეხება მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომელთა მშობლებსაც უფლება აქვთ რუსეთის ყველა ქალაქში ცხოვრებისა.

— წელს პეტერბურგის სამხედრო იურიდიულს აკადემიაში 25 ადგილია თავისუფალი ახლად შემსვლელთათვის.

— ერთს ოდესელს ვაჭარს რიგიდგან ფული მოჰკვლია, თავის შვილისგან გამოგზავნილი. ფული ფოსტით არა მოსულა, მხოლოდ წერილი მიუღია, ამა-და-ამ საბანკო კანტორაში მიდი, შენის ვინაობის საბუთები წარადგინე და 10 თუმანს მიიღებ, რადგან მე აქ რიგაში შევიტანე ეგ ფული მაგ კაცისავე საბანკო კანტორაშიო. მამაც სწორედ ასე მოქცეულა. წაუღია ყველა საჭირო საბუთი და უთქვამს, ფული მომეცითო. საბანკო კანტორაში საბუთები გაუსინჯავთ, დარწმუნებულან, რომ მართალი საბუთებია, და ჩეკი მიუციათ, კასსაში მიდი და მიიღე შენი ფულიო. კასსირს ჩეკი გამოურთმევია და ფული მიუცია, მაგრამ ათ თუმნის მაგიერ 10,000 თუმანი შეცდომით მიუწოდებია. ვაჭარი შემკრთალა პატარასხანს შეყოყმანებულა, მაგრამ სინიდისს უძლევია, ფული ისევ კასსირისათვის მიუწოდებია და უთქვამს: „თქვენ მგონი შეცდით, მე მხოლოდ 10 თუმანი მერგებაო“. კასსირისათვის შიშის ფერს გადუკრავს პირის სახეზე და შემკრთალა ისეთ ნაირად, რომ მადლობის თქმაც ველარ მოუხერხებია. მაშინვე სწორედ ათი თუმანი ამოუღია მეორე უჯრიდგან, მიუცია და გაუსტუმრებია.

— ოდესის ბოქაულს ბლაღოვიდოვს 6 კაცი შეუპყრია, რომელნიც ყალბს ფულსა სჭრიდნენ თურმე და ასაღებდნენ. ამ ბლაღოვიდოვისთვის შეეტყობინებინათ, თვითონ მატყვევი თავის ამხანაგებით ყალბს ფულს ასაღებსო. ბოქაულს უბრალო ვაჭრის ტანისამოსი ჩაუცვამს, გასცნობია მატყევსა და ყალბს ფულზე ჩამოუგდია ლაპარაკი. მატყევი ვერ მიმხვდარა, მოტყუებულა და უთქვამს, ამა-და-ამ დროს აქ მოდი და ყალბ ფულს მოგცემ გასასაღებლადაო. დანიშნულს ალაგას პოლიცია მისულა და შეუპყრია მატყევი. ჯიბეში ბევრი წერილი სდებია ამხანაგებისგან მოწერილი. ამ წერილების შემწეობით სხვა მისი ამხანაგების ვინაობაც შეუტყვიათ და ისინიც შეუპყრიათ. ყალბი ფული ყველას გამოსჩენია და ეხლა სამართალში არიან მიცემული. მთელი დასი ჰყოლიათ ამ ავაზაკებსა და ათასგვარ გაიძვერაობას სჩადიოდნენ თურმე, რომ ხალხი ეტყუებინათ და ყალბი ფული ესაღებინათ.

◆◆

# უცხოეთი

გერმანია. სამშაბათს, 17 ივლისს, დიდი დარბაზი „Böhmischer Brauhaus“-ისა ბერლინში გაჭედილი იყო ხალხით, განსაკუთრებით-კი განათლებულ და გაგებულ მუშებს მოეყარათ თავი. ეს კრება საპოლიტიკო, საქმეებზედ მოსალაპარაკებლად-კი არ იყო მიწვეული, არამედ იმის გადასაწყვეტად, რომ სასურველია და შესაძლებელია თუ არა დედა-ქალაქში თავისუფალის სახალხო თეატრის გამართვაო? კრებაზედ სიტყვა წარმოსთქვა ამ საქმის დამწყებმა, ბერლინის ცნობილმა ჟურნალისტმა დ—რმა ბრუნო ვილლემ. «ხელოვნებაო, სთქვა მან: უმცირესობის საკუთრება არ უნდა იყოს, იგი ყველასია, მთელის ერისა. ეს გახლდათ ეროვნული მოთხოვნილება ბერძნებისა, ასეთივე აზრი გამოითქვა ჩვენშიაც გერდერისა, ლესინგისა და ჰიოტეს დროს. ეხლა მე კვლავ მოვაგონებ საზოგადოებას, რომ ერს ხელოვნებამდე ხელი მიაწვდენინონ, და მგონია კიდეც, რომ ყველა დამეთანხმება და ჩემთან ერთად იტყვის: ხალხი უნდა გავაკეთილშობილოთ და ჭეშმარიტის, დიდებულის ხელოვნების შეგნება შევაძლებინოთო. ჩვენ გვსურს, ვცადოთ და განვახორციელოთ ეს საქმე როგორმე. ჩვენი თავისუფალი სცენა საგანგებო პიესებს ამოარჩევს და გაუზიარებს ერს. ამ ახალის საზოგადოების დამაარსებლებმა უკვე 1,000 წევრი იშოვეს და ჯერ-ჯერობით დაგირავებულს თეატრში უნდა გაამართვინოთ გამოცდილს არტისტებს კვირაში ერთხელ წარმოდგენა. კრებამ გადასწყვიტა, რომ ჩვენც თანავუგრძნობთ დ—რ ვილლეს აზრსაო.

ბოლგარია. სტამბულოვმა ოსმალეთს, როგორც ვიცით, ორი ნოტა გაუგზავნა: ერი მაკედონიაში ბოლგარელ ეპისკოპოსთა დანიშვნას შეეხებოდა, მეორე კიდევ იმას, რომ ნება მოგვეცით, ბოლგარია დამოუკიდებელ სამთავროდ გამოვაცხადოთო. პირველი თხოვნა უკვე აუსრულდათ და ოსმალეთმა ბოლგარიის ეპისკოპოსებს ბარათები მისცა კიდეც მაკედონიაში დასახლებისა, ახლა საქმე მეორეზედ მიდგა. ამის შესახებ გაზ. „Liberté“!, რომელსაც საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოვებულია, ამბობს, რომ ავსტრო-ვენგრია ბოლგარიის დამოუკიდებლად გამოცხადებას ემხრობაო. სხვათა სახელმწიფო აზრი ამ საგნის გამო ჯერ-ჯერობით ნამდვილად არა ვიცით, ხოლო რაც შეეხება საფრანგეთს, საფრანგეთი ამ საქმეში რუსეთს მიემხრობა „XIX Siécle“ და „Autorite“ დაბეჯითებით გაიძახიან, რომ ვენიდგან სტამბულოვს აქეზებენ და ურჩევენ, ბოლგარიის დამოუკიდებლობა გამოაცხადეო. ამ საქმესთან დიდი კავშირი აქვს იმ გარემოებას, რომ მუტკუროვი ამ ჟამად ვენაში იმყოფება და ხშირს თათბირშია გრაფ. კალნოკითანაო. ამ ამბებს ვენის გაზეთები სრულიად უარ-ჰყოფენ. ამ საგნის შესახებვე აი რასა სწერს ბელგიის გაზ. „Judêpendance Belge.“ „ამ დღეებში დიდი ამბები მოხდება ბალკანიის ნახევარ კუნძულზედ. ყოველ მხრიდგან ამბები მოდის, რომ ბოლგარიას დამოუკიდებლად გამოაცხადებენ 2 (14) აგვისტოს, სწორედ იმ დღესა როცა წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც პრინცმა ფერდინანდ კობურგისამ ფიცი დასდო ვუერთგულებ და არ ვუღალატებ ბოლგარიის კონსტიტუციასაო. დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქმნება თუ არა გამოცხადებული ბოლგარია, პრინცი კობურგისა ბოლგარიისა და რუმელიის მეფე ფერდინანდ I-ს დაირქმევსო.“ დაბეჯითებით ამბობენ, ვითომ ბოლგარიის სამხედრო მინისტრმა მუტკუროვმა, რომელიც ამ ჟამად ვენაში იმყოფება, ავსტრი-ვენგრიის მთავრობა დაიყოლია და ეს მთავრობა დაჰპირდა, რომ, წინააღმდეგობას - კი არა, პირ-იქით, ყოველ გვარს დახმარებას გაგიწევ მაგ საქმეშიო. ავსტრი-ვენგრიისავე მაგალითს მიჰყვება, გერმანია იტალია და ინგლისიცაო. თუ ეს ხმა გამართლდა, მართლა რომ დიდი ამბავი დატრიალდება ევროპის პოლიტიკაში და აღმოსავლეთის საქმე, აქამდე წვერ-გამოუხსნელი, უფრო მეტად დაიხლართება და დაიხლართება.

◆◆

# დეპეშა

28 ივლისი

პეტერბურგი. გუშინ ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა უავგუსტოესის შვილებითურთ პეტერგოფიდგან ცარსკოე სელოში მობრძანდნენ.

უმაღლესად ნება დაერთო ფინანსთა მინისტრს ვიშნეგრადსკის, რომ სერბიის ორდენი ატაროს, „ტაკოვა“ პირველის ხარისხისა.

უმთავრესს აღლუმზედ დაესწრება საფრანგეთის ჯარის გენერალი ბუადეფრი, რომელიც საფრანგეთის ჯარის უმთავრეს შტაბში ჰმსახურებს და წინადკი სამხედრო აგენტად იყო პეტერბურგში.

სევასტოპოლი. დღეს აქ მოვიდა ჯავშნიანი ხომალდი „სინოპი“, რომელსაც გზაზედ ორთქლის გამყვანი მილი გასჭხეთქია და ექვსი ჯარის-კაცი და მიჩმანი თ. ხილკოვი ისე დაუთუთქავს, რომ გზაზედვე დახოცილან. დანარჩენი დაშავებული 11 კაცი-კი, რომელთაგანაც 4 მძიმედ არის დაჭრილი, აქაურს სამკურნალოში გაიგზავნა.

პარიჟი. სენატორთა და დეპუტატთა მიერ შემდგარმა კომისიამ დღეს კრება გამართა ყველა იმ მრეწველისა, რომელთაც 1889 წ. გამოფენაზედ ჯილდო მიიღეს, და სთხოვა, რომ საფრანგეთის გამოფენავე უნდა გავმართოთ მოსკოვში 1891 წელსაო. ყველა დათანხმდა ამ გამოფენაზედ თავისის ნაწარმოების გაგზავნასა და გამოფენის საქმის განგრძობას.

ჯებდაში ხოლერით სულ 180 კაცი გახდა ავად; პროვინციებს ვალენციასა და ტოლედოშიაც 70 ავადმყოფი იყო ხოლერით და ამათში 19 გარდაიცვალა.

29 ივლისი

პეტერბურგი. გუშინ დაათვალიერეს კრასნოე სელოში დაბანაკებული ჯარი.

ბერლინი. დღეს სამკურნალო კონგრესი ვირხოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვით დაბოლოვდა. ვირხოვმა თავის სიტყვაში განმარტა მნიშვნელობა კონგრესისა, რომელმაც იმდენი ხალხი მოიზიდა, რამდენიც თავის დღეში არ მოუზიდნიაო. ბოლოსა სთქვა ვირხოვმა, რომ ღმერთმა ინებოს, სასიამოვნოდ შევხვდეთ ერთმანეთს კვლავ „საუკუნო რომშიო“. ჩკლიფასოვსკიმ სთქვა, რომ მეორე სამკურნალო კონგრესი რუსეთში გავმართოთო.

ათინა. დიდად აღელვა აქაურები იმ გარემოებამ, რომ ოსმალეთისაგან ბოლგარიის ეპისკოპოსებს ბარათები მიეცა.

---

ეჭვი არ არის შეუცდომელი არც ჩვენა ვართ, მაგრამ სრული იმედი მაქვს, რომ ჩვენი შეცდომა ისეთი არ იქნება, რომ ბანკს რაიმე შესამჩნევი ზარალი მისცეს. რადგან ბანკის კეთილდღეობა მამულების რიგიანად დაფასებაზედ არის დამოკიდებული და უსვინიდისო დამფასებელს ადვილად შეეძლო, შეცდომაში შეეყვანა გამგეობა, და ამით ბანკისთვის დიდიდი ზარალი მიეცა, ჩვენ მუდამ იმას ვცდილობდით, რომ დამფასებლად აგვერჩია პატიოსანი, საიმედო და საქმის მცოდნე კაცები. მაგრამ, რადგან დამფასებლობის მსურველი ბევრი ჩნდებოდა და ერთი და ორი ალაგი ყველას არ ხვდებოდა, ამისათვის ლანძღვა-გინებასა და დანოსებს ჩვენ ვერ გადავურჩით. უმთავრესი საგანი მათის საჩივრისა ის იყო, რომ გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი მავნებელს და მართებლობის წინააღმდეგ კაცებს ირჩევენ და თუ ამ გვარს მათს მოქმედებას ბოლო არ მოელო, ქვეყანას დიდი ვნება მიეცემა და ბანკიც დაიღუპებაო (კარგი რომ თვით სახელმწიფოს ხელუხლებლად სტოვებენ და მასაც რამე საოცარს არ უქადიან). ამ გვარს სულელურს დანოსს აბა ვინ მიაქცევდა ყურადღებას? მაგრამ ამ ბატონების ყოფა-ქცევა ჩვენ ცხადად გვიმტკიცებს, თუ რა სულიერები ეჭიდებიან საზოგადო საქმეებს და ან რა საშვალებით მიიღწევიან სურვილის შესასრულებლად. რომ ამ საზარელს ჩვეულებას ბოლო მოეღოს, ჩემის აზრით, ერთი საშვალება-ღა დარჩენია ბანკს, ეს—თვით საზოგადო კრებამ აირჩიოს დამფასებლები; შეიძლება მაშინ მაინც გადავეჩვიოთ ამ ჩვეულებას და ჩვენი ზნეობითი სიგლახაკე საქვეყნოთ არ ავღიაროთ. საზოგადო კრება უეჭველად უფრო ადვილად შესცდება დამფასებლის ამორჩევას, ვიდრე გამგეობა და კომიტეტი, და ხშირად ისეთს კაცს აირჩევს, რომლის ყოფნა ბანკში სასურველი არ იქნება, მაგრამ დანოსების წერას ყოველისფერი სჯობს და სხვა თუ არა გამოვიდა რა, სამინისტრო მაინც მოსვენებული იქნება უსაქმო ადვოკატების ჯღაბნისაგან და ბანკის მმართველობა უსაფუძვლო ცილის წამებისაგან. წრფელის გულით ვურჩევ გამგეობასა და კომიტეტს მოიცილოს თავიდგან ეს მძიმე და უმადური ტვირთი, თორემ ადვილად შეიძლება უადგილო ცილის წამებამა და დანოსმა უფრო დიდი ვნება მისცეს ბანკს, ვიდრე განზრახ უხეიროდ დაფასებულმა მამულმა.

დიდი მოთმინება და თავ-განწირულება ჰმართებს გამგეობას და განსაკუთრებით იმის თავსმჯდომარეს, რომ ყველას სურვილი და თხოვნა ისე შეასრულოს, რომ მთხოვნელიც დააკმაყოფილოს და კანონიც დაიცვას. ჩვენში ჯერ კიდევ დიდი მნიშვნელობა აქვს დაპირებას, მოტყუებასა და პირში მოფერებას და ვინც ამას ოსტატურად ჰხმარობს, ბურთი და მოედანიც მისია, მაგრამ საზოგადო ასპარეზზედ გამოსული კაცი სულ სხვა გზას უნდა ადგეს და, თუ მხოლოდ ცბიერებითა და სხვა-და-სხვა მანქანებით უნდა დაიმსახუროს საზოგადოების ყურადღება, ის არა თუ სარგებლობას, არამედ ურიცხვ ვნებას მოუტანს, როგორც საზოგადოებას, აგრეთვე იმ საქმეს, რომლის მართვა და წინ წაძღოლაც მას უკისრნია. ვინც ერთხელ საზოგადო ასპარეზზედ გამოსულა, იმის ცხოვრება უხავსო და სპეტაკი უნდა იყოს და იმის სახელს არ უნდა მოსცხებოდეს არავითარი ჩირქი. თუ სამწუხაროდ ამისთანანი ჩვენში ჯერ იშვიათია, უფრო სამწუხარო ის არის, რომ ვერც ამ წმინდანებს გაუბედნიათ სიმართლის გზაზედ სიარული—ისეა ჩვენში პატიოსნება და სიმართლე დაჩაგრული. ჩვენი დრო და მოთმინება ბანკის წესდების ახსნასა და იმის დაცვას უნდებოდა. ჩვენში კიდევ ბევრი იმ აზრისანი არიან, რომ რომელსამე დაწესებულების უფროსს ადვილად შეუძლიან ამ დაწესებულების კანონები თავის შეხედულობისამებრ აწარმოვოს; უმრავლესობა ჯერ კიდევ დარწმუნებულია, რომ უფროსისათვის კანონი არ არსებობს და შეუძლიან ისე მოიქცეს, როგორც მას უნდა; მაგრამ თუ კი იშვიათად ვისმეს თხოვნა არ შეუსრულა, ეს მისთვის—ასე ჰგონიათ—რომ ან ქრთამი უნდა და ან მტრობს. როცა მთხოვნელისათვის მითქვამს—„არ შემიძლიან, კანონი ნებას არ მაძლევს, ამას ვერ ვიზამ“, უპასუხნია ხოლმე—„როგორ ვერ იზამ, განა შენზედ არ არის დამოკიდებული, ისე მოიქეცი, როგორც შენ გინდა?“ ჩვენში კანონის დარღვევა არაფრად მიაჩნიათ“. „რა უშავს კანონი რომ დაარღვიაო, ვინ შეუტყობს და თუ შეუტყვეს, მარჯვე ბიჭია, მშრალი გამოვაო. აი ეს არის ჩვენი ზნეობითი კანონი. მაგრამ რა აზრისა და მიმართულებისაც უნდა იყოს უმრავლესობა, მე მაინც ამას ვიტყვი, რომ ვისაც საზოგადო საქმისათვის, მაშასადამე ბანკისათვისაც, გული შესტკივა, მუდამ ის უნდა იქონიოს სახეში, რომ ბანკს თავის კანონები და წესდება აქვს და ამ წესდების დაცვასა და იმის კანონიერად აღსრულებაზედ არის დამოკიდებული მისი წარმატება და კეთილ-დღეობა. ვინც-კი ამ აზრისა არ არის, ის საზოგადო საქმეს ვერ აწარმოებს და ვერც სარგებლობას მოუტანს მას. მარტო სამსახურის ანუ საქმის ხელში ჩაგდების სურვილი არ კმარა, საჭიროა ზნეობითი სიმტკიცე, საქმის ცოდნა და პატიოსნური გრძნობა.

დ. ე. დადიანი

(დასასრული იქნება)

სამინისტროების გაზეთებმაც, რომელნიც აქამდე ზომიერად იქცეოდნენ, ეხლა მხნედ და ფხიანად დაიწყეს ლაპარაკი.

ბერლინი. ლონდონიდგან აუწყებენ „Post“-ს ვითომ-და ნამდვილის წყაროდგან, რომ ვილჰელმის მოგზაურობას საპოლიტიკო მნიშვნელობა ჰქონდაო. იმპერატორსა, დედოფალს ვიქტორიას, პრინცს უელსისასა და მარკიზ სალისბერის სჯა და თათბირი ჰქონდათ ერთმანეთში და ამ სჯა-თათბირის შედეგი ყველას აფრიკის შესახებ შეკრულ ინგლის-გერმანიის კონვენციაზედ ნაკლებ არ გააკვირვებსო.

პეტერბურგის ბირჟა, 27 ივლისი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაურიგდნენ. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 6, 73 | 6, 76 | —„ |
| ტამოჟნის კუპონები | —„ | „ | 135 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 10 | „ | —„ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 230¾ | —„ | —„ |
| —მეორისა | —„ | —„ | 220½ |
| —მესამისა | —„ | —„ | 215½ |
| გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა | —„ | —„ | 100¼ |
| ქუთაისის ბანკისა | 100 | —„ | —„ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | —„ | 88 „ | —„ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

# განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის-მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(40—13)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

რული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.




სამეურნეო მაშინებისა და იარაღების საწყობი

გ. ფ. ეკკერტის სააქციონერო საზოგადოებისა

ბერლინში

და სხვა ქარხნებისა აქვს გამართული

ე. ფ. აუფერმან ტფილისში,

მიხეილის ქუჩაზედ, № 117.

ფოლადის გუთნები

ერთ-სახნისიანი ღრმად-მხვნელი და ბევრ-სახნისიანი გუთანი.

სალეწი მაშინა (ცხენით და ორთქლით სატრიალებელი).

მარცვლის გამრჩევი და გამწმენდი მაშინები.

ინგლისური სანიავებელი, გორველის გამომრჩევი და სხვანი.

სამკალი მაშინა.

სათიბი მაშინა

ფოცხები, სათესი მაშინები, საროში და სხვანი.

რაც შარშანდელ გამოფენიდგან მაშინები დარჩა, იმაში მყიდველს მანეთზე ორი შაური დაეთმობა უწინდელ ფასიდგან. (50—41)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

„ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ხაშურში—თავ. ნაჩაბაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

გოგკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ, და მოთხრობილია აქტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა | „ | 25 |

კბილი აღარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ



და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.

ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ვნახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და საათფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

მთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106.

(208—33)




ტფილისის გამოფენისა




ვერცხლისა.




ოქროსი.

ЗАВОДЪ

МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ

А. А. ТУТАЕВА

Принимаются **постройки, ремонты** и **окраски домовъ, крышъ, фасадовъ, мостовъ, тумбъ и будокъ** на шоссейныхъ дорогахъ. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія, масляныя и сухія **краски, кисти, масла** и проч. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже солдатскаго базара.

ვყიდი ყოველნაირს ლიტო-ტიპოგრაფიის და ზეთით გალესილს და მშრალს კრასკებს, ზეთს, კისტებს და სხ. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (Ремонтъ) და შეღებვას ხრეშ-დაყრილ გზებზე ხიდებისას, ბუდკებისას და ბოძებისას. შემიძლიან გავგზავნო კრასკები ყველგან, მოთხოვნილობისამებრ. ქარხანა მაქვს იარმუკაზე, საეკკლესიო დუქნებში.

ა. თუთაევი

24—12

ოქროს




თამბაქოს ფაბრიკა

მედალი



ნ. ი. ბოზარჯიანცისა

ტფილისში

მაქვს ბ-ნთ მოყვარულთათვის საუკეთესო თამბაქო და პაპიროსი ჩემის ფაბრიკისა, რომელშიაც დიდ-ძალის ოსმალეთისა და ადგილობრივ მოსულს საუცხოვო თამბაქოს თავდარიგია დაჭრილი. შემონაკვეთს მუშტრის გემოვნებაზედ და სწრაფად ვამზადებ. ჩემს მაღაზიაში ბევრი იპოვება საუკეთესო მოწყობილობა და მასალა თამბაქოს ხმარებისა. უცხო-ქვეყნელთა შემონაკვეთს დაუყოვნებლად გასრულებთ. ფაბრიკის უმთავრესი მაღაზია იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილო მამულო ბანკის, არწრუნისეულს სახლში.

(25—6)


Доз. ценз. Тифлисъ, 30-го Іюля 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე